გამომცემი: ა(ა)იპ „ქართული მედია ჯგუფი“, კატო მიქელაძის გაზეთის მიხედვით

ხმა ქართველი ქალისა

21 აგვისტო, 2023 წელი. გაზეთი ვრცელდება უფასოდ

№6 გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ

„ფემინისტური მედია შიდა ქართლში“ – პროექტის გუნდმა 6 თვიანი მუშაობის შედეგები შეაჯამა

დასრულდა „ქართული მედია ჯგუფის“ 6 თვიანი პროექტი, რომელიც „ქალთა ფონდის“ მხარდაჭერით განხორციელდა. ამ დრომდე ორგანიზაციის მიერ გადამზადებული ქალები, შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში მოქმედ მედიასაშულებებს აკვირდებოდნენ, როგორც ბეჭდურ, ისე ონლაინ გამოცემებს და ტელევიზიებს. დასკვნით შეხვედრაზე საზოგადოებას სწორედ ამ მონიტორინგის შდეგები გააცნეს.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ მედიასაშუალებების მიერ ქალთა უფლებრიბივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მაშინ ვრცელდება, როდესაც რაიმე უსიამოვნო შემთხვევა ხდება. ასევე მომზადებულ მასალებში ძირითადად კაცი რესპონდენტები ჭარბობენ და ქალების ხმა ნაკლენბად ისმის. რაც შეეხება მუნიციპალურ გაზეთებს, იქ ქალები თითქმის არ ჩანან. პროექტის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მერიების ბეჭდვურ გამოცემებში ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტები შუქდება და არაფერი იწერება ქალთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

„მუნიციპალიტეტი ყველაზე მეტად უნდა უწყობდეს ხელს ქალების წარმოჩენასა და გენდერულ საკითხებზე ინფორმაციის გავრცელებას, რადგან ქალებმა ხშირად არ იციან რას სთავაზობს მერია და რა სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ. ისინი კი ძირითადად მასალებს ამზადებენ სოფლის ინფრასტრუქტურაზე, სპორტსა და კულტურულ ამბებზე, სადაც რესპონდენტებად კაცები ჭარბობენ და ვიზუალურ მასალაშიც უმეტესად კაცები არიან, – წარმოდგენილები. ამასთან ერთად მასალის ავტორებიც უმეტესად კაცები არიან“. ამბობს პროექტის ერთ-ერთი მონაწილე ლიკა მზარეულიშვილი.

ზოგიერთი მედიასაშულება, რომლებიც თითქოს ქალების ისტორიებზე წერენ, ხშირად გაუაზრებლად უწყობენ ხელს სტერეოტიპების გამყარებას. ასეთ მასალებში არ ჩანს ქალის ის უნარები, რომელიც მას ძლიერი მხარეებით წარმოაჩენს. მაგალითად, ქალი მენეჯერი, ქალი ბიზნესმენი, ქალი პოლიტიკოსი, გადაწყვეტილების მიღები და ა.შ. გარდა ამისა, მომზადებულ მასალებში იშვიათად არის გამოყენებული გენდერული სტატისტიკა, რაც აუდიტორიას გარკვეული ანალიზის საშუალებას მისცემს.

„რეგიონში ზოგიერთი მედიასაშუალება დროის უმეტეს ნაწილს ისეთ თემებს უთმობს, სადაც რესპონდენტებად კაცები ჭარბობენ. ჟურნალისტები ხშირად არ ცდილობენ, რომ რესპოდენტების ჩაწერის დროს თანაბრად ჰკითხონ აზრი, როგორც ქალებს, ისე კაცებს. რაც შეეხება გენდერული საკითხების გაშუქებას, ეს ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც რაიმე შემთხვევას აქვს ადგილი, ძალადობა, სიუციდი, ფემიციდი და ა.შ“ – აღნიშნა ლიკა თოთლაძემ.

ქალებთან და მათ უფლებრივ მდგომარობასთან დაკავშირებული საკითხები იბეჭდებოდა გაზეთში, რომელიც „ქართულმა მედია ჯგუფმა“ პროექტის ფარგლებში, კატო მიქელაძის გამოცემის მიხედვით აღადგინა. გაზეთის, „ხმა ქართველი ქალისა“ ფურცელბზე წარმოდგენილი ქალები სწორედ იმ უნარებით ჩანან, რაც სხვა ქალებში მოტივაციას ბრძოლისუნარიანობას და ცვლილებების სურვილს აღძრავდა.

და არა ისე, როგორც ამას უმეტესი მედიასაშუალებები აკეთებენ, ქალებს აშუქებენ ძირითადად მასწავლებლის, კულინარის ამპლუასა და ხელსაქმით დაინტერესების კონტექსტში.

პროექტის მონაწილეების თქმით, ამ გაზეთში დაბეჭდილი მასალები მაგალითის მიმცემი იქნება სხვა მედიასაშუალებებისთვის, თუ როგორ გააშუქონ ქალებთან დაკავშირებული საკითხები, ისე რომ უნებლიეთ ხელი არ შეუწყონ სტერეოტიპების გავრცელებას.

„პროექტის დასაწყისში მონაწილე ქალებს ჩაუტარდათ ტრენინგები, თუ როგორ უნდა ეწარმოებინათ მონიტორინგი მედიის მიმართულებით, რაზე უნდა გაემახვილებინთ ყურადღება და როგორ მოეხდინათ სიტუაციის ანალიზი, ვფიქრობ, რომ ისინი გენდერის თემაზე, მედიის მონიტორინგის კუთხით დღეს უკვე სპეციალისტები არიან. თავადაც ამბობენ, რომ მათ ჩამოუყალიბდათ კრიტიკული ხედვა და პროექტის დასრულების მიუხედევად, დაკვირვების პროცესს ისევ აგრძელებენ. ჩვენთვის საამაყოა, რომ რეგიონში ეს არის პირველი პრეცენდენტი მედიამონიტორინგის შესახებ, რომელიც „ქართულმა მედია ჯგუფმა“ წამოიწყო და ვფიქრობთ, რომ კოლეგები სამომავლო საქმიანობაში, ჩვენგან მიღებულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ“,-აღნიშნა პროექტის ხელმძღვანელმა, ნინო ჩიბჩიურმა.

მონიტორინგის შედეგები საინტერესო აღმოჩნდა დასკვნით ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრებისთვისაც, მათი თქმით, მსგავსი ღონისძიებების განხორციელებას ხელს თავად ადგილობრივი ხელისუფლება უნდა უწყობდეს და გენდერული ბალანსის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებით დაინტერესდნენ.

„ქართული მედია ჯგუფი“ – შიდა ქართლში მოქმედ მედიასაშულებებს აპრილიდან აკვირდებოდა, რომლის შესახებაც პროექტის ფარგლებში, თვეში ერთხელ სპეციალური გადაცემა „ქალის ხმა“ მზადდებოდა. რომელთან ერთადაც, აქტივობების შესახებ ინფორმაცია და გაზეთის ელექტრონული ვერსია – „ქართული მედია ჯგუფის“ საიტზე feminism.ge ქვეყნდებოდა.

ლელა ლობჟანიძე

რას საქმიანობენ შიდა ქართლში გენდერული თანასწორობის საბჭოები? – გეგმა და ფაქტები

მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოები 3 თვეში ერთხელ მაინც უნდა იკრიბებოდნენ.

„ქართულმა მედია ჯგუფმა“ შიდა ქართლში შემავალ ოთხივე მუნიციპალიტეტს საჯარო ინფორმაცია სთხოვა, თუ რას საქმიანობენ გენდერული თანასწორობის საბჭოები რეგიონში და თანხვედრაშია თუ არა მათი მუშაობა წინასწარ გაწერილ სამოქმედო გეგმასთან? მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ სხდომებზე გარკვეული საკითხები განიხილება და იგეგმება, თუმცა ამ დროისთვის რაიმე ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ჯერჯერობით არ შეინიშნება. უფრო კონკრეტულად კი მუნიციპალიტეტებმა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას შემდეგი პასუხები გასცეს.

გორის მუნიციპალიტეტი:

გენდერული თანასწორობის საბჭო 2023 წელს 2 ჯერ შეიკრიბა, 14 მარტსა და 31 მაისს. საბჭო საქმიანობს გენდერული თანასწორობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დღემდე განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

- მარტის კვირეულის ფარგლებში გამოიცა ბროშურა „პროფესია გენდერის გარეშე“, გენდერისა და თვითმმართველობის შესახებ ჩატარდა ღია გაკვეთილი სსიპ კარალეთის საჯარო სკოლაში.
- საბჭოს წევრების მონაწილეობით გაიმართა გასვლითი შეხვედრები სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში, სადაც მოხდა ასევე მოსახლეობისთვის მუნიციპალური პროგრამების გაცნობა.
- საბჭოს წევრების მონაწილეობით გაიმართა გასვლითი შეხვედრები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში;
- განხორციელდა სოციალურის და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამებით მოსარგებლე პირთა ექვსი თვის სტატისტიკა.
- შეგროვდა საქმისწარმოების, ქონებისა და კულტურის განყოფილებების, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ბენეფიციართა სეგრერირებული მონაცემები ექვსი თვის.
- შეგროვდა მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა სეგრერირებული მონაცემებიექვსი თვის;

დაგეგმილი/განსახორციელებელი ღონისძიებები:

- მუნიციპალური პროგრამებით მოსარგებლე პირთა სტატისტიკის წარმოება 2023 წლის, რომელიც მიმდინარე პროცესშია და ტრენინგები მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის გენდერის თემაზე, რომელც ასახულია თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების გეგმაში და საჭიროებს გარკვეულ პროცედურებს, რომელზეც მიმდინარეობს მუშაობა.
- ეტაპობრივად ხორციელდება გეგმით გათვალისწინებულ და საბჭოს სხდომაზე დაყენებულ საკითხებზე კონკრეტული ღონისძიებები.

მომდევნო საბჭოს სხდომა გაიმართება მიმდინარე წლის 6 სექტემბერს, სხდომაზე შესატანი საკითხები ამ ეტაპზე კონკრეტულად განსაზღვრული არ არის, თუმცა იგეგმება ქვემოთ ჩამოთვლილი სავარაუდო საკითხების დღის წესრიგში შეტანა.

- სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში, გასვლითი შეხვედრების დროს გამოვლენილ პრობლემებზე მუშაობა;
- გასვლითი შეხვედრების დაგეგმვა;
- გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა;

რაც შეეხება მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილი თემების კონკრეტიზაციას, მოგახსენებთ, რომ საბჭოს საქმიანობა არის მუშა პროცესი, რომელზეც ეტაპობრივად ხდება საკითხების დაგეგმვა, სიტუაციურად და საბჭოს მიმდინარე საქმიანობიდან გამომდინარე.

ხაშურის მუნიციპალიტეტი:

გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა ხაშურის მუნიციპალიტეტში 5 თვეა აღარ ჩატარებულა. თუმცა გორის მსგავსად 2 ჯერ მაინც მოასწრეს შეკრება საბჭოს წევრებმა და შემდეგი საკითხები განიხილეს.

10 თებერვალი

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი ინიციატივა-ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებში გენდერული სტატისტიკის წარმოების პროცესის დაწყების თაობაზე. 2023 წლის იანვრის თვის შედეგები
2. გენდერული საბჭოს ინიციატივით ჩატარებული კვლევის – „გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის აქტუალურობასთან დაკავშირებით“, – შედეგები.
3. ხაშურის ბაღების გაერთიანება პროექტით-„მამები კითხულობენ ზღაპარს“ მომხსენებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი, ასევე გენდერული თანასწორობის საბჭოს სკოლამდელი აღზრდის კომისიის თავმჯდომარე ლელა გელაშვილი, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესია მშობლების ჩართულობა ბავშვის სკოლამდელი აღზრდის საქმეში, დიდი ხანია ქონდა ამ პროექტის დაწყების სურვილი, მხოლოდ რისკფაქტორს წარმოადგენდა უკუკავშირი, დათანხმდებოდნენ თუ არა მამები შეთავაზებას. ყველაფერი კი პირიქით მოხდა და ეს ძალზედ გასახარია.
4. ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიზანი და ამოცანები, კომისიის მიერ 2022 წლის განმავლობაში ჩატარებული ოქმების/განხილული ქეისებისა და მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი მომხსენებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერზე პასუხისმგებელი პირი ნინო სუხიაშვილი.
5. ხაშურის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ხორციელდება ე.წ. „სოფლის პროგრამები“, განსაზღვრულ დასახლებებში/სოფლებში ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების მიერ დაორგანიზდა შეხვედრები, საერთო კრების ოქმების საფუძველზე შედგება სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხა, რომელიც დაფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით. საბჭოს მიერ უნდა მოხდეს ამ პროცესებში აქტიური ჩართულობა გენდერული კუთხით.

9 მარტი

1. ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის სახეების ისტორიული მიმოხილვა;
2. ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის სახეები მოქმედი სის-

ხლის სამართლის კოდექსის მიხედვით;

3. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები ძალადობით ჩადენილ სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით;

„ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომების ოქმები საჯაროა და გამოქვეყნებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ გვერდზე: www.khashuri.org.ge ამავე ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების ანგარიში. ამავე გვერდზე წინასწარ ქვეყნდება ინფორმაცია საბჭოს დაგეგმილი სხდომების და განსახილველი საკითხების შესახებ.“ – წერია ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ "ქართული მედია ჯგუფისთვის" გამოგზავნილ წერილში.

ქარელის მუნიციპალიტეტი:

ქარელის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას ადგილობრივ დონეზე, რომლის ამოცანებია დასაქმების სფეროში თანაბარი პირობების შექმნა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება, გენდერულად დაბალანსებული ბიუჯეტის პროექტის შესადგენად წინადადებების წარდგენა და გენდერული თვითშეფასების დანერგვა.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, მუნიციპალიტეტში გამოცხადებული საჯარო კონკურსების პრობები ქმნიან თანაბარ პირობებს დასაქმების სფეროში. იმისათვის, რომ გაიზარდოს სოფლად მცხოვრები ქალების მონაწილეობა ეკონომიკურ საქმიანობაში და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად მონაწილეობდა და ორგანიზებას უწევდა 2023 წლის 23/01-02/02 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე სოფლად მცხოვრები ქალების დასწრებას. მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მათი სპეციალისტები და საკრებულოს წევრები სოფლის მოსახლეობას და განსაკუთრებით ქალებს აწვდიდა ინფორმაციას სოფლებში დაგეგმილი შეხვედრების თარიღსა და დროზე, მათ მნიშვნელობასა და ქალთა დასწრების აუცილებლობაზე, რადგან სოფელში განსახორციელებელი პროექტის არჩევა ხდება შეხვედრაზე დამსწრე მოსახლეობის ხმათა უმრავლესობით. ასევე კორდინაციას ვუწევდით საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკური მიმართულებებით განხორციელებული საქმიანობისა და პროგრამების შესახებ ქალთა ინფორმირებულობას.

ქარელის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად იყო ჩართული, რათა მიეწოდებინა ინფორმაცია სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ისეთი პროექტების შესახებ, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“. ასევე მეწარმეობის პრაქტიკული კურსი – როგორ დავიწყოთ ბიზნესი, რომელიც განკუთვნილი იყო კონკრეტულად გამყოფ ხაზთან მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისათვის. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების, გოგოების და მათი ოჯახის წევრების სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებას. საბჭო დაეხმარა დაინტერესებულ ადამიანებს პროგრამების ორგანიზატორებთან შეხვედრების ორგანიზებაში (სოფლის მეურნეობის სააგენტოს წარმომადგენლების 15 ივლისს შეხვდნენ ქალ

მეწარმეებს და წარუდგინეს სხვადასხვა პროექტები) და ასევე, სურვილის შემთხვევაში, პროგრამებზე დარეგისტრირებასა და სხვა ტექნიკური პრობლემებისა და საკითხების მოგვარებაში.

იქიდან გამომდინარე, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამას, საბჭომ აწარმოა სამიზნე წლის (2022 წელი) კვლევა, მოვიძიეთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ, ვსწავლობთ სხვა მუნიციპალიტეტების პროგრამის შინაარსს, რომელთა ბიუჯეტი ითვალისწინებს მსგავს პროგრამას, მათ გამოცდილებას და მაგალითებს. კვლევის დასრულების შემდეგ გავამზადებთ პროგრამის ნიმუშს, შენიშვნებს და შესაბამისი წერილით მივმართავთ მუნიციპალიტეტის მერიას, რათა 2024 წლის ბიუჯეტში იქნას გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა.

ქარელის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო მომდევნო სხდომას გეგმავს 2023 წლის სექტემბერში, რომლის განსახილველი საკითხი იქნება ქალებზე და გოგონებზე ძალადობა.

წლის ბოლომდე საბჭო გეგმავს განიხილოს შემდეგი თემები: ქალებზე და გოგოებზე ძალადობა და ნაადრევი ქორწინების პრევენცია და საზოგადოების ჩართულობის ზრდა აღნიშნული პრობლემის შესწავლასა და მოგვარებაში.

ყველა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია „ქართულმა მედია ჯგუფმა“ საჯარო ინფორმაციის სახით მიიღო, თუმცა ქარელის მუნიციპალიტეტისგან ოქმების გამოგზავნის მიუხედავად, საბჭოს სხდომის ამსახველი არანაირი ინფორმაცია ან გეგმა გავრცელებული/გამოქვეყნებული არსად ფიქსირდება.

ოქმებში წერია, რომ ქარელში საბჭომ 8 მარტს დასაჯილდოვებელი ქალების სია შეადგინა, მეორე სხდომაზე კი ერთ-ერთი სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე ინფორმაციის გავრცელების რეკომენდაცია შემუშავდა, არცერთი საკითხი გეგმას არ პასუხობს და გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს. ისევე როგორც კასპის მუნიციპალიტეტში, სადაც ირწმუნებიან, რომ საბჭოს სხდომა 2023 წელს 2 ჯერ ჩატარდა, თუმცა მოთხოვნის მიუხედავად, ვერანაირ დამადასტურებელ დოკუმენტს/მასალას არ ავრცელებენ, რაც ხელმიუწვდომელია ასევე მათივე ვებ გვერდზე.

„ქართულმა მედია ჯგუფმა“ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ოთხივე მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარეკომენდაციო წერილებით მიმართა, მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია კი პროექტის დასკვნით ღონისძიებაზე წარადგინა.

ნინო ჩიბჩიური

ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს თანხით ეხმარებიან

თუ ცხოვრობთ გორში და ხართ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფულადი დახმარება გეკუთვნით. ერთჯერადად თქვენთვის 350 ლარის გაცემაა გათვალისწინებული. ამისთვის თქვენ, ან ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა მიმართოთ.

რა დოკუმენტები დაგჭირდებათ დახმარების მისაღებად?

- განცხადება მერის სახელზე;
- დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
- ცნობა ძალადობის მსხვერპლობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებიდან ან/და ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრიდან;
- დახმარების მიმღების საბანკო ანგარიში;

მსგავსი სერვისი მოქმედებს კასპის მუნიციპალიტეტშიც, თუმცა აქ მსხვერპლებისთვის დახმარება 50-ლარით ნაკლებია.

თუ ცხოვრობთ და რეგისტრირებული ხართ კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით აღიარებული ხართ ოჯახში ძალადობის მსხვერპლად, კასპის მერია ფულად დახმარებას გაგიწვეთ.

დახმარება გაიცემა ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით.

რა დოკუმენტები დაგჭირდებათ?

- განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;
- განმცხადებლის საბანკო ანგარიში.

Metalab.ge

ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს გორში, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია უფინანსდებათ

18 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებიც ძალადობის შედეგად ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას საჭიროებენ, სპეციალური კურსი უფინანსდებათ. ამ მიზნით მათ (საჭიროების შემთხვევაში ოჯახთან ერთად), გორის მერიისგან წლის განმავლობაში ერთჯერად, 350 ლარის მიღება შეუძლიათ. დახმარების მიმღები პირები 2021 წლამდე გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნდა იყვნენ რეგისტრირებულები.

რა დოკუმენტები დაგჭირდებათ დახმარების მისაღებად?

დახმარების მისაღებად, ბენეფიციარის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მერიაში შემდეგი სახის დოკუმენტაცია წარადგინოს:

- განცხადება მერის სახელზე;
- დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის/დაბადების მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
- ფსიქოლოგის დასკვნა და რეკომენდაცია ფსიქორეაბილიტაციის საჭიროებაზე;
- ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი ან/და ანგარიშფაქტურა შესაბამისი დაწესებულებიდან.

Metalab.ge

„ქართულმა მედია ჯგუფმა“ გორის მუნიციპალიტეტში, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრად მარიამ გაბლიშვილის კანდიდატურა წარადგინა

„ქართული მედია ჯგუფის“ პროექტების მონაწილე მარიამ გაბლიშვილი ორგანიზაციის სახელით გორში, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრის კანდიდატადაა წარდგენილი. წევრის ჩანაცვლების საკითხი მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც ერთ-ერთმა მათგანმა (საზოგადოება „ბილიკის“ წარმომადგენელმა) საბჭოში დარჩენა აღარ ისურვა.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა სპეციალური შეხვედრა მოაწყეს, სადაც ორგანიზაციებს მათ მიერ შერჩეული კანდიდატი უნდა დაესახელებინათ. „ქართული მედია ჯგუფიდან“ წარდგენილმა კანდიდატმა კი დამსწრეთა უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვა და უკონკურენტო კანდიდატიც გახდა.

ამჟამად, პროცედურული საკითხები მიმდინარეობს, რის შემდეგაც შესაბამისი ბრძანება გამოიცემა და მარიამ გაბლიშვილი, როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, საბჭოს საქმიანობაში ჩაერთვება. მორიგი სხდომა სექტემბერშია ჩანიშნული. როგორც საკრებულოს თავმჯდომარე ამბობს, წინა პერიოდთან შედარებით, საბჭოს შემადგენლობაში ამჟამად მხოლოდ საკრებულოს და მერიის თანამშრომლები არ შედიან და მეტი ახალი ინიციატივის გაზიარებისთვის, პროცესში მესამე სექტორიც ჩართეს.

ნინო ჩიბჩიური

„სოფლად მცხოვრები ქალების უმრავლესობამ სოციალური სერვისების შესახებ არაფერი იცის“ – შორენა ბიჭიკაშვილი

ჟურნალისტი შორენა ბიჭიკაშვილი, სოციალური სერვისების შესახებ შიდა ქართლში, სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას ესაუბრა. აღმოჩნდა, რომ დიდი ნაწილისთვის, განსაკუთრებით ქალებისთვის, აღნიშნული ინფორმაცია ხელმიუწვდომელია. ეს ინფორმაცია მან „ქართული მედია ჯგუფის“ გადაცემაში – „ქალის ხმა“ გააჟღერა.

„სოფლად მცხოვრები ადამიანების ნაწილი არაინფორმირებულია იმ პროგრამების შესახებ, რისთვისაც ადგილობრივ ბიუჯეტში თანხებია გათვალისწინებული. მაგალითად, ახალგაზრდა ქალები, რომლებიც შესაძლოა იყვნენ ძალადობის მსხვერპლები, მხოლოდ იმის გამო აგრძელებენ ასეთ გარემოში ცხოვრებას, რომ არ აქვთ ინფორმაცია რა დახმარების მიღება შეუძლიათ, როგორც მერიისგან, ისე სხვადასხვა მხარდამჭერი ორგანიზაციისგან“-აღნიშნა შორენა ბიჭიკაშვილმა.

სერვისების შესახებ არაინფორმირებულობის კუთხით, არასახარბიელო მდგომარეობაა ასევე ახალგაზრდებშიც. არაბენეფიციარი მოსახლეობის თითქმის 30%-ს არ სმენია არცერთი სოციალური სერვისის შესახებ, 57.7% კი მხოლოდ ორ სოციალურ პროგრამას იცნობს. ინფორმაციის არქონის გამო, ახალგაზრდები იმ საბაზისო მხარდაჭერის მიღმა რჩებიან, როგორებიცაა განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ჯანდაცვა, სპორტი და ცხოვრების ჯანსაღი წესი, ტრანსპორტირება, სოციალური ინტეგრაცია, და სხვა სიკეთეები, რომლებიც მათთვის ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით და ქვეყნის სოციალური პოლიტიკითაა გარანტირებული.

ნინო ჩიბჩიური

სოფლად მცხოვრებ ქალებში, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ცნობიერების დონე დაბალია – ინტერვიუ ოჯახის ექიმთან

ოკუპირებული ტერიტორიასთან მდებარე სოფელში სამედიცინო აქცია მოეწყო. უფასო გადასინჯვები ასოციაცია ჰერა XXI-ის ინიციატივით, ციფრული ტექნოლოგიების სააგენტო NEO TV – ისა და ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციულ კლინიკასთან თანამშრომლობით, გორის მუნიციპალიტეტის, ოკუპირებული ცხინვალის გამყოფ ხაზთან მდებარე სოფელში, ერგნეთ-მამისაანთუბნის საჯარო სკოლის შენობაში ჩატარდა. გასვლითი უფასო ვიზიტი განხორციელდა ოჯახის ექიმის, გინეკოლოგ – რეპროდუქტოლოგის, ექოსკოპისტისა და ფსიქოლოგის ჩართულობით.

კონსულტაციაზე მისული მოსახლეობა აღნიშნავდა, რომ სოფელში არის სოფლის ექიმი, თუმცა წვდომა მის სერვისზე ფრაგმენტულია. არ აქვთ ტერიტორიული ხელმისაწვდომობა აფთიაქსა და ლაბორატორიულ კვლევებზე, რის გამოც უწევთ ქალაქ გორში ან სოფელ ტყვიავში წასვლა. აღნიშნულს ამწვავებს ის ფაქტი, რომ მოსახლეობას საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ ესახურება სტაბილურად და მოწესრიგებულად, რაც უქმნით დამატებით გეოგრაფიულ და ფინანსურ ბარიერებს.

არ არიან ინფორმირებული სახელმწიფოში მოქმედ ჯანდაცვის პროგრამებზე, მათ შორის უფასო წამლების პროგრამაზე, ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებისთვის (ჰიპერტონული დაავადება, გულის ქრონიკული უკმარისობა, არითმიები, შაქრიანი დიაბეტი, დიფუზურ-კვანძოვანი ჩიყვი) და უწევთ თბილისში გამოწერილი ძვირადღირებული ალტერნატიული მედიკამენტების შეძენა.

უფრო ვრცლად, გამოკვეთილ საჭიროებებსა და ტენდენციებზე ოჯახის ექიმი, თამარ მაღრაძე გვესაუბრება.

– რა საჭიროებები გამოიკვეთა მოსახლეობასთან შეხვდრისას?

– მოდიან ადამიანები, როგორც ქრონიკულად დატვირთული პათოლოგიებით, ასევე არის ახალგაზრდების შემოდინება, სადაც გამოკვეთილია გინეკოლოგიურ-რეპროდუქციული პრობლემები.

– რამდენად ხშირად მიმართავენ ოჯახის ექიმს?

– მიმართვიანობა არის შედარებით მცირე, პრობლემები ამასთან დაკავშირებით სხვა კუთხით არის მოსაგვარებელი. ადამიანებს აქვთ სურვილი ეს სერვისი იყოს

მათთვის ხელმისაწვდომი, ვგულისხმობ გეოგრაფიულად. თუნდაც ქრონიკული ავადმყოფებისთვის დანიშნული მედიკამენტები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება და პენსიონერისთვის თბილისში არის ხელმისაწვდომი, ის მედიკამენტები ამ ადამიანებისთვის არის შეზღუდული, ამას უნდა აკეთებდეს ოჯახის ექიმი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას გაუწევს კონსულტირებას.

– სხვა რეგიონებში რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით?

– ვფიქრობ, არც სხვა რეგიონები გამოირჩევიან, უკეთესი მდგომარეობით და ვფიქრობ, თბილისში პენსიონერებს უფრო აქვთ ხელმისაწვდომობა, თუნდაც ამ კონკრეტულ სერვისზე.

– თქვენ როგორ გესახებათ ასეთ რეგიონში ამბულატორიის და ოჯახის ექიმის მნიშვნელობა?

– ვფიქრობ, ექიმი უნდა იყოს კარგად მობილიზებული და პრევენციულ მიმართულებებზე ორიენტირებული. თუნდაც იმიტომ, რომ ამა თუ იმ პატოლოგიის სამკურნალოდ ნაკლები ხარჯი იყოს საჭირო. ანუ პრევენციის მეთოდები და მიდგომები არის ძალიან გასათვალისწინებელი. ვფიქრობ, ოჯახის ექიმი პირველადი რგოლია და კარიბჭეა და მან ეს თავის თავზე უნდა აიღოს.

– კონკრეტულად ქალთა საჭიროებებზე რას გვეტყვით, სამედიცინო მიმართულებით?

– ახალგაზრდები გვაკითხავენ, დიდი ყურადღება ექცევა კონტრაცეფციის მიმართულებას, რა თქმა უნდა ამ კუთხით განსავითარებელია მათი განათლების დონე, წინ წამოსაწევია, რომ თავდაცვის საშუალებებს ანუ კონტრაცეფციას მეტი ყურადღება დაეთმოს, რათა ახალგაზრდა გოგომ, თუნდაც მამკაცმა ეს თემა კარგად იცოდეს. მათ უნდა იცოდენ იმ უარყოფითი გართულებების შესახებ, რასაც ჰქვია ოჯახების დანგრევა, ნაადრევი ქორწინება, აბორტი და ა.შ თუნდაც სქესოპბრივი გზით გადამდები ინფექციები, რომელიც მეტნაკლებად ყურადღების მიღმა აქვთ ახალგზრდებს და თუ რამე არ გამოიკვეთა და მნიშვნელოვანი ნიშანი არ გამოჩნდა, ისინი ექიმ-რეპოდუქტოლოგთან არ მიდიან. ვიტყვი, რომ უპირველესად, მთავარი როლი ისევ და ისევ უნდა შეასრულოს ოჯახის ექიმმა.

ესაუბრა შორენა ბიჭიკაშვილი

გზავნილი გოგონებისთვის – ადრეულ ქორწინებასა და ორსულობაზე

მოზარდობის ასაკში ორსულობა საფრთხეს უქმნის გოგონების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, რადგან მათი ორგანიზმი ჯერ არ არის მზად ორსულობისა და ბავშვის გაჩენისთვის და მაღალია ორსულობისა და მშობიარობის გართულებების რისკი.

მოზარდ ასაკში ორსულობა და დედობა განსაკუთრებით რთულია, რადგან ამ ასაკის გოგონებს უჭირთ ბავშვისა და საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

16 წლის ასაკს მიუღწეველი პირი ოფიციალურად ვერ შეძლებს ქორწინების დარეგისტრირებას. აქედან გამომდინარე, დაურეგისტრირებელი ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გოგონებს სამართლებრივი რეგულაციების მიღმა და მთელი რიგი სოციალური გარანტიების გარეშე ტოვებს.

მაგალითად, დაურეგისტრირებელი კავშირისას არ არის დაცული ქალის ქონებრივი უფლება და განქორწინების შემთხვევაში იგი ვერ მოითხოვს თანაცხოვრების განმავლობაში შეძენილი ქონების წილს.

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გოგონების უფლებების დარღვევაა, ის მათ ართმევს ბავშვობას, ხელს უშლის სრულფასოვანი განათლების მიღებაში, საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას და ზღუდავს მათ შესაძლებლობებს. გოგონებისათვის მიყენებულ ზიანს ვერ გაამართლებს ადრეული ქორწინების ვერავითარი კულტურული და რელიგიური მოტივი.

გოგონას უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება და საშუალება, თვითონ გადაწყვიტოს, თუ როდის და ვისზე დაქორწინდება.

მშობლებმა, საკუთარი შვილების კეთილდღეობისთვის, მხარი უნდა დაუჭირონ და პატივი სცენ გოგონას არჩევანს და გადაწყვეტილებას.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ გთავაზობთ მაღალ კვალიფიციური იურისტის უფასო პირისპირ ონლაინ კონსულტაციას.

თუ თვლი, რომ დაირღვა შენი უფლება დაგვიკავშირდი ცხელ ხაზზე – 032 20 11 და მიიღე რჩევა.

ჰერა – XXI

60 თანამშრომელი და 3 ფილიალი გორში – „გოლდმა“ 10 წლის იუბილე აღნიშნა

სილამაზისა და ესთეტიკის სალონების ქსელი „გოლდი“ 10 წლისაა. საიუბილეო საღამოს თანამშრომლებთან ერთად, ერთგული მომხმარებლებიც ესწრებოდნენ. ღონისძიებას მაკა შალიკაშვილი უძღვებოდა, საიუბილეო საღამო კი მოწვეულ სტუმრებს „დუეტმა ჯორჯიამ“ გაულამაზა.

“გოლდის“ ხელმძღვანელმა, ჯუნა შიუკაშვილმა თანამშრომლებს სიგელები გადასცა და ერთგული შრომისთვის მადლობა გადაუხადა. მადლობის სიგელები გადაეცათ ასევე პარტნიორ კომპანიებს, რომლებსაც „გოლდთან“ მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებთ. საჩუქრები მიიღეს ერთგულმა მომხმარებლებმაც, რის შემდეგაც საიუბილეო ღონისძიება უზარმაზარი ტორტის გაჭრითა და ფეიერვერკით დასრულდა.

სილამაზის ცენტრი „გოლდი“ გორში ზუსტად 10 წლის წინ გაიხსნა. მოგვიანებით კი ცენტრალური ქუჩის სხვადასხვა ლოკაციაზე კიდევ ორმა ფილიალმა დაიწყო ფუნქციონირება. ამ დროისთვის, სილამაზისა და ესთეტიკის სალონების ქსელის სამივე ფილიალი ჯამში, 60 ადამიანს აერთიანებს, მათ შორის ყველა მათგანი ქალია. მისი ხელმძღვანელი, ჯუნა შიუკაშვილი ამბობს, რომ დასაქმების პრობლემის ფონზე და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ქალთა გაძლიერება და მათი შესაძლებლობების რეალიზება მნიშვნელოვანია. სწორედ ქალებზე ზრუნვა და მათი თავდაჯერებულობის გაზრდა წარმოადგენს „გოლდისთვის“ 10 წლიანი მუშაობის ძირითად ამოცანას.

ნინო ჩიბჩიური

„ქალის ხმამ“ თავის სათქმელი თქვა...

„ქართული მედია ჯგუფი“ პროექტის ფარგლებში სპეციალურ გადაცემას ამზადებდა, სახელწოდებით „ქალის ხმა“, რომელსაც მე ვუძღვებოდი და კოლეგებთან ერთად პერიოდულად, საზოგადოებას მონიტორინგის შედეგებს ვაცნობდი. მასში ის ქალები მონაწილეობდნენ, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულები მონიტორინგის პროცესში (შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტიდან), აკვირდებოდნენ მედიასაშუალებებსა და გენდერული საბჭოების მუშაობას. შედეგებს კი სწორედ გადაცემაში აჯამებდნენ. გადაცემაში საუბარი იყო ასევე იმ ხარვეზებსა და გამოწვევებზე, რომელიც მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა.

პროექტის წარმომადგენლები გამოსავლის გზებზე საუბრობდნენ, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ არსებული ხარვეზები აღმოიფხვრას და სწორად გაშუქდეს მედიაში გენდერული საკითხები. განვიხილეთ ის რეკომენდაციები, რომელიც გენდერული საბჭოების მუშაობას გააუმჯობესებს. დასკვნით გადაცემაში პროექტის შედეგები შევაჯამეთ და საზოგადოებას გავაცანით ის მიღწევები და შედეგები, რომელსაც ამ პროექტის ფარგლებში მივაღწიეთ. ვფიქრობ, ამ გადაცემის მეშვეობით ვგზავნიდით მესიჯებს და ვამბობდით ქალების სათქმელს, რათა საზოგადოებას ჰქონოდეს ინფორმაცია, თუ როგორ მუშაობენ გენდერული საბჭოები მუნიციპალიტეტებში და რა პრობლემები/გამოწვევები არსებობს მათ საქმიანობაში. ასევე როგორ შუქდება მედიის მიერ გენდერული საკითხები და როგორ უნდა წარმოვაჩინოთ ქალების შესახებ ინფორმაცია, ისე რომ გაუაზრებლად ხელი არ შევუწყოთ სტერეოტიპების გავრცელებას. მაშინ როდესაც გენდერულ საბჭოებთან კომუნიკაცია ძალიან რთული იყო, ამ გადაცემის საშუალებით ვცდილობდით ჩვენგან გაეგოთ ქალებს ამ საბჭოების არსებობის შესახებ და სცოდნოდათ რა ფუნქცია აქვთ, რა უწერიათ სამოქმედო გეგმაში და რეალურად როგორ მუშაობენ ამ მიმართულებით.

აღმოჩნდა, რომ სოფლად მცხოვრები ქალების დიდმა ნაწილმა ამ საბჭოების შესახებ არაფერი იცოდა და რეალურად ჩვენგან მიიღეს ინფორმაცია თუ რას აკეთებენ ადგილობრივ დონეზე, რაც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვეოდა წლის დასაწყისში დაგეგმილ მათ საქმიანობას. ამ ინტერვიუების შემდეგ ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა დაგეგმა სხდომები და გასული პერიოდის ოქმებიც ატვირთა, რომელიც მანამდე არ არსებობდა. გარდა ამისა მედიასაშულებების ნაწილმა აქტიურად დაიწყო გენდერული საკითხების გაშუქება. გადაცემის, “ქალის ხმა“ ნახვა დაინტერესებულ პირებს “ქართული მედია ჯგუფის“ ფეისბუქ გვერდსა და საიტზე, feminis.ge შეუძლია.

ლელა ლობჟანიძე

ხაშურის საბავშვო ბაღებში დასაქმებულ ქალებს, ძალადობის თემაზე ტრენინგი ჩაუტარდათ

ხაშურის მუნიციპალიტეტში, ქალთა საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: გენდერული თანასწორობა და ქალთა ან/და ოჯახში ძალადობა. ტრენინგ-სესიას, გენდერული საკითხების ექსპერტმა, მამუკა გაჩეჩილაძემ უხელმძღვანელა.

სემინარი, რომელიც საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან თანამშრომლობით გაიმართა, მიზნად ისახავდა ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედ ბაღებსა და ბაგა-ბაღებში დასაქმებული ქალების ცნობიერების ამაღლებას და მათ მხარდაჭერას „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და გენდერული ძალადობის საკითხებზე“.

სამუშაო შეხვედრას, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბაღებისა და ბაგა-ბაღების წარმომადგენლებთან ერთად,ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნინო ლიპარტელიანი და ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი, ლელა გაფრინდაშვილო ესწრებოდნენ.

ტრენინგის ფარგლებში, მონაწილეებმა იმ სოციალური ნორმებისა და სტერეოტიპების შესახებ გაიღრმავეს ცოდნა, რომლებიც ძალაუფლების დისბალანსს აძლიერებს და ძალადობას აპროვოცირებს.

სამუშაო შეხვედრა ინტერაქციულ რეჟიმში ნარიმართა, რამაც მონაწილეებს საშუალება მისცა თავისუფლად გაეზიარებინათ თავიანთი შეხედულებები და გამოცდილება. ამასთან, გაეჟღერებინათ მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი კითხვები.

ტრენინგის ინტენსიური პროგრამა, თეორიულ ასპექტებთან ერთად, ინდივიდუალური და გუნდური სამუშაოს ელემენტებს მოიცავდა. შეხვედრის დასკვნით ნაწილში, გაიმართა დისკუსია და მონაწილეებმა სემინარის შესახებ უკუკავშირი გააზიარეს.

აღსანიშნავია, რომ ყოველი მსგავსი ინიციატივა, მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის შესრულებას კიდევ უფრო გვაახლოვებს, – გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და საზოგადოებაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ ხაშურის მუნიციპალიტეტი ყოველთვის ღირებულ ნაბიჯებს დგამს უფრო ინკლუზიური და უსაფრთხო საზოგადოების ფორმირებისათვის – აღნიშნეს ტრენინგის ორგანიზატორებმა.

„შეხვედრა იყო ინტერაქციული, მსმენელების აქტიური ჩართულობით, იყო ბევრი შეკითხვა და განსხვავებული მოსაზრება. აღნიშნული ტიპის შეხვედრებს ასეთ აუდიტორიასთან დიდი დატვირთვა აქვს, რადგან სწორედ ამ ეტაპზე უნდა ავუხსნათ პედაგოგსაც, მშობელსაც და ბავშვსაც თანაბარი შესაძლებლობების არსი“. – აღნიშნა, ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნინო ლიპარტელიანმა.

ტრენინგი გაიმართა შემდეგი პროექტების ფარგლებში: „ქალები და ახალგაზრდები, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ადგილობრივ დონეზე განხორციელებისთვის“, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია ახორციელებს. (იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“). პროექტი ხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტების სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან პარტნიორობით; ასევე, პროექტის ფარგლებში: „ქალთა გაძლიერება და სრულფასოვანი მონაწილეობა ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის განხორციელებაში“, რომელიც დანიური ორგანიზაცია KVINFO-სა და დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

რატომ გვჭირდება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა?



სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები – ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ნაწილია და მოიცავს მთელ რიგ მნიშვნელოვან უფლებებს მათ შორის:

- სხეულის ხელშეუხებლობის უფლებას, ძალადობრივი სტერილიზაციისა და ქალთა გენიტალიების დასახიჩრებისგან დაცულობის ჩათვლით;
- თანასწორობას, დისკრიმინაციისა და სტიგმისგან თავისუფლებას, განურჩევლად გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციისა;
- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის საჭირო სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უფლებას;
- უსაფრთხო აბორტის უფლებას;
- სექსუალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უფლებას, სექსუალური სიამოვნების უფლებას.

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა წარმოადგენს სრულ ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ სიჯანსაღეს რეპროდუქციულ სისტემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში. ეს ნიშნავს მდგომარეობას, როცა ადამიანებს შეუძლიათ ჰქონდეთ დამაკმაყოფილებელი და უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრება, გამრავლების უნარი და შეეძლოთ მიიღონ თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილება, თუ რამდენი შვილი იყოლიონ და როდის.

თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, გააკეთოს თავისუფალი არჩევანი თავის სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. გაერო-ს მოსახლეობის ფონდი, თავის პარტნიორებთან ერთად, მუშაობს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების, მათ შორის, ოჯახის დაგეგმვის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია ადგენს მკაფიო კავშირს რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, ადამიანის უფლებებსა და მდგრად განვითარებას შორის. ამ საკითხების ცოდნა მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკშივე, რადგან პიროვნებამ გადაწყვეტილება გააზრებულად მიიღოს და შესაბამისი ნაბიჯებიც ამის შემდეგ გადადგას. როცა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საჭიროებები არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ ადამიანებს ჩამორთმეული აქვთ საკუთარ სხეულთან და მომავალთან დაკავშირებული არსებითი მნიშვნელობის არჩევანის გაკეთების უფლება, რაც უდიდეს ზემოქმედებას ახდენს მათი ოჯახების სიჯანსაღესა და მომავალ თაობებზე.

გაერო-ს მოსახლეობის ფონდის ერთერთ მთავარ პროგრამულ პრიორიტეტს საქართველოში წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის გაძლიერებული ჩარჩოსა და ინსტიტუციური მექანიზმების არსებობა ქალებისა და ახალგაზრდებისათვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინტეგრირებული სერვისების მისაწოდებლად, განსაკუთრებული ყურადღებით მოწყვლადი მოსახლეობისა და ჰუმანიტარული საჭიროებების მქონე მოსახლეობის მიმართ. პროგრამის ფარგლებში ინტერვენციები ფოკუსირებულია პოლიტიკის ჩარჩოს და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მხარდაჭერაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს რეპროდუქციული ჯანმრთელობის, მათ შორის დედებზე ზრუნვის, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის და აივ-ის პრევენციის, მაღალი ხარისხის მომსახურებათა მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა, ასევე ოჯახის დაგეგმვის დაუკმაყოფილებელი საჭიროების მოგვარება ადვოკატირების და ტექნიკური მხარდაჭერის გზით.

გაეროს მოსახლეობის ფონდი ადვოკატირებას უწევს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებათა მიწოდების ინტეგრირებას პირველად ჯანდაცვაში, რათა ეს მომსახურებები მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს.

გაერო-ს მოსახლეობის ფონდის საქმიანობა საქართველოში ფოკუსირებულია:

დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესების მხარდაჭერაზე;

ოჯახის უსაფრთხო, ნებაყოფლობითი დაგეგმვის შესაძლებლობის ზრდასთან დაკავშირებით ადვოკატირებასა და პოლიტიკასთან დაკავშირებულ რჩევებზე;

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეროვნული პროგრამების ამოქმედებაზე და მათ გაფართოებაზე საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელო მითითებებისა და ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით; მტკიცებულებების შექმნაზე და დახმარებაზე მიზნობრივი მოსახლეობის ჩართვის მაქსიმალური დონის მისაღწევად და მტკიცე კავშირების შექმნაზე სკრინინგის პროგრამებსა და რეფერალურ მომსახურებებს შორის ზუსტი დიაგნოზების დასმის და მკურნალობის უზრუნველყოფის მიზნით;

ახალგაზრდების სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებაზე – მოზარდებისა და ახალგაზრდების სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებში სკოლის ჯანდაცვის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების გზით, მათი კომუნიკაციის უნარების გაზრდით, ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ მათი ინფორმირებულობის ამაღლებით, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვისა და პირველადი დახმარების უნარების გაფართოებით.

ჯანდაცვის სისტემის რეაგირების გაძლიერებაზე გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ, როგორც ძალადობის მიმართ მულტისექტორული რეაგირების შემადგენელ კომპონენტზე.

ანი ჯაბახიძე

ჩვენი გაზეთი

არ ვიცი, რომ რომელიმე მიმართულების პრესას იმდენი ამბავი გამოეწვიოს საზოგადოებაში, როგორიც ჩვენმა გაზეთმა: „ხმა ქართველის ქალისამ“ გამოიწვია. მრავალი სხვადასხვა აზრები ტრიალებს ამ გაზეთის შესახებ.

1. ზოგი ამბობს: – გაზეთი უპარტიო არ უნდა იყოს, ეხლა უპარტიობა არ შეიძლებაო.
2. ზოგი: – რა საჭირო იყო ქალებისაგან ცალკე გაზეთის დაარსება, განა გაზეთები ცოტაა, სადაც შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება, ქალებსაცო; ზოგი – დაიქცა ბატონო ოჯახი, ქალები გაზეთებსა და კლუბებს უნდებიან და სახლ-კარისათვის ვისღა სცალიან.
3. ზოგს კიდევ ქალების სინაზისა და მომხიბვლელობის დაკარგვის ეშინია, გაზეთებისა და კლუბების მეოხებით!

ყველა ამას ამბობენ საუბედუროდ არა მარტო შეუგნებელნი, არამედ განათლებულებს რომ უწოდებენ თავის თავს ისეთებიც! ამას ამბობენ არა მარტო ზოგიერთი მამაკაცები –, ჰოი საკვირველებავ, – ქალებიც კი! ყველა ამ ცნობის მოყვარე სხვა და სხვა. კატეგორიის ხალხს ჩვენ ცალ-ცალკე პასუხს მივცემთ ერთხელ და სამუდამოდ. პირველს – ქალების გაზეთი უნდა იყოს სწორედ უპარტიო, როგორც არის დღეს ის, იმიტომ რომ ყოველ ქალს, რა წრესაც უნდა ეკუთვნოდეს იგი აქვს თავისი განსაკუთრებული ტკივილი – ქალთა საკითხი, რომლის გარშემო უნდა შემოკრიბენ ყველა ქალები განურჩევლათ პოლიტიკური რწმენისა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამ გაზეთის თანამშრომლებს არ ჰქონდეს თავისი განსაზღვრული პოლიტიკური მსოფლმხედველობა!.. მეორეს – სწორედ საჭირო იყო ქალებისგან ცალკე გაზეთის დაარსება, რომ მეტის ინტერესით მოეკიდონ თავის საქმეს ქალებმა სწერონ განსაკუთრებით თავიანთ ჭირ-ვარამზე. ქალთა საკითხი ისე როგორც მუშათა საკითხი, – ცალკე წამოაყენა ცხოვრებამ, და თუ კი ამ უკანასკნელისათვის აუარებელი ჟურნალ გაზეთები არსებობს, რა მოხდა რომ პირველისათვის ერთი გაზეთი არსებობდეს?! რად მიაჩნიათ ეს გასაკვირველად ზოგიერთებს?! განა ქალების გაზეთი, როგორც მას უწოდებენ, – იმას ნიშნავს, რომ შიგ მამაკაცებმა მონაწილეობა არ მიიღონ? პირიქით, ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ მამაკაცები იდეურ დახმარებას გაგვიწევენ.

მესამეს – არა, ბატონებო, ქალების კლუბებისა და გაზეთების დაარსებით ოჯახი კი არ დაიქცევა – აშენდება: შეგნებული ქალი უფრო კარგად, გონივრულად მოუვლის ოჯახს, ვიდრე შეუგნებელ – უვიცი; შეგნებული ქალი უფრო კარგ აღზრდა განათლებას მისცემს შვილებს, ვიდრე შეუგნებელ-უვიცი; შეგნებული ქალი უფრო გრძნობიერად-გონივრად მოეპყრობა თავის ქმარს, უფრო გაიგებს მის ტკივილებს, ვიდრე შეგნებული უვიცი!... ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა იცხოვროს ყოველ მხრივად გონება განვითარებულმა მამაკაცმა ერთ ჭერ ქვეშ გონება დახშულ ბნელ ქალთან? როგორ უნდა ამოირჩიოს ასეთი ქალი ცხოვრების ამხანაგად და არ სცდილობდეს მის გონებრივ განვითარებას. რომელიმე სასწავლებელში კურსის დამთავრება კიდევ არ ნიშნავს ყოველ მხრივ გონებით განვითარებას: მარტო მშრალი სასწავლო წიგნები ბევრ არას აძლევენ ადამიანს!

მეოთხეს – ქალი სინაზესა და მომხიბლელობას ეს ბუნებრივი თანდაყოლილი თვისება არ იკარგება გონებრივ განვითარების მიღებით. ბუნებრივობას მასში ვერ მოსპობს ვერავითარი ძალა! არც კაცებიდან გამოყოფას ნიშნავს ქალების მიერ გაზეთებისა და კლუბების დაარსება, არამედ მათი საშვალებით ამაღლებას მამაკაცების გონებამდე. დასასრულ, ვიტყვით, რომ ეს

დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა ქალების შესახებ იმის მიზეზია რომ საზოგადოების ფართო ნაწილი ჯერ კიდევ მოუმწიფებელია, ვიწროა მისი აზროვნების ჰორიზონტი და ვერ შესჩვევია, ვერ წარმოუდგენია ქალის აქტიური გამოსვლა ცხოვრების ასპარეზზე. ქალი ქალათ (?)უნდა „იყოს იმუშაოს ოჯახში და საზოგადოებაში მ. კაცებთან ერთად, რომელიც იზრუნებენ მისთვისაც“-ო, ამბობს მისი ლოღიკა, ჩვენ კი ამაზე ვპასუხებთ მწერლის ბრძნული სიტყვებით: „Тому, кто сам молчит, и эхо не ответит“.

ნინო ნადირაძე, 1917 წელი №7

გაზეთი გამოიცემა „ქართული მედია ჯგუფის“ პროექტის („ხმა ქართველი ქალისა“ – ფემინისტური მედია შიდა ქართლში") ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია "ქალთა ფონდის" მიერ

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA